განახლებულია 01.05. 2026

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ფინანსები და საბანკო საქმე / Finance and Banking**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**პირველი ნაწილი:** ფინანსების მაგისტრი / Master of Finance **მეორე ნაწილი:** კვლევის მაგისტრი ფინანსებში/ Research Master in Finance
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	ასიე ცინცაძე პროფესორი - asie.tsintsadze@bsu.edu.ge ლელა ონიანი, ასოცირებული პროფესორი - Loniani@yahoo.com
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	**პირველი ნაწილი** - 60 ECTS **მეორე ნაწილი** - 60 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**პირველი ნაწილი:** ✓ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ✓ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: ინგლისური ენა - B2 დონე და სპეციალობა; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. **მეორე ნაწილი:** ✓ პროგრამის პირველი ნაწილი; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**პირველი ნაწილი:** ფინანსებისა და საბანკო სექტორში პრაქტიკული კომპეტენციების განვითარება. ✓ მოამზადოს მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსი ფინანსისტები და საბანკო სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ თანამედროვე ფინანსურ სისტემაში ეფექტურად ფუნქციონირებას, ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებას, რისკების მართვასა და ინსტიტუციური პროცესების ოპტიმიზაციას; ✓ უზრუნველყოს სტუდენტების უნარის განვითარება ფინანსური ინსტრუმენტების (სესხები, ფასიანი ქაღალდები, დერივატივები, საინვესტიციო პროდუქტები) პრაქტიკული გამოყენების მიმართულებით.

	მეორე ნაწილი: ფინანსური სისტემის კვლევა და ანალიტიკური უნარების განვითარება. ✓ პროგრამის მიზნია სტუდენტებს ჩამოუყალიბოს ფინანსური თეორიების, ფინანსური ბაზრების ფუნქციონირების, ფინანსური პროცესების მეცნიერულად გაანალიზების ღრმა კონცეპტუალური ცოდნა; ✓ უზრუნველყოს თანამედროვე სამეცნიერო კვლევის მეთოდების გამოყენების უნარის განვითარება რაც მოიცავს: კვლევის დიზაინის შემუშავებას, ჰიპოთეზების ფორმირებას, მონაცემთა შეგროვებასა და დამუშავებას;
სწავლის შედეგები	**პირველი ნაწილი:** ✓ აქვს ცოდნა ფინანსური ბაზრებისა და საბანკო სისტემის შესახებ; ✓ აანალიზებს საფინანსო ბაზრებზე მიმდინარე პროცესებს, აფასებს პორტფელური ინვესტიციების გამოყენებით მიღებულ შედეგებს და საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე არსებული მიდგომების მიხედვით აყალიბებს საინვესტიციო სტრატეგიას; ✓ ფინანსური ანალიზის ინსტრუმენტების გამოყენებით აფასებს საწარმოთა ფინანსურ მდგომარეობას, ახდენს რისკების იდენტიფიცირებას, აყალიბებს მათი ელიმინაციის გზებს და ღებულობს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს. **მეორე ნაწილი:** ✓ ავლენს სიღრმისეულ ცოდნას ფინანსური თეორიების, საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობაზე მოქმედი ეკონომიკურ ფაქტორების, საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე არსებული მდგომარეობების ანალიზის შესახებ; ✓ ორგანიზაციებისა და ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობას აკავშირებს მონეტარულ პოლიტიკასთან და აყალიბებს ფინანსური რესურსების ეფექტიანი მართვის ღონისძიებებს; ✓ გამოიყენებს კვლევის მეთოდებს და ატარებს სტატისტიკურ ანალიზს საკვალიფიკაციო ნაშრომის დამუშავებისას.